საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 16 ნოემბერი 2023 წ.

ბრძანება №01-08/60

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-8 და მე-16 მუხლების, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 36-ე მუხლის, 37-ე მუხლის მე-7 პუნქტის, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების" პირველი მუხლის, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-19 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 27 ივლისის №05-01/03 და №05-01/04 გადაწყვეტილებების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების ნაცვლად, საბჭოების უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, ახალი წევრების არჩევის მიზნით, 2023 წლის 05 დეკემბერს დაინიშნოს არჩევნები შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

1.1 **აკადემიური საბჭო:**

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: 1 წევრი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი);

1.2 **წარმომადგენლობითი საბჭო:**

ა) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: 1 აკადემიური პერსონალი;

ბ) მუსიკის ფაკულტეტი: 1 სტუდენტი.

2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში 2023 წლის 24 ნოემბრიდან 2023 წლის 01 დეკემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა, შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ.№19/32, ოთახი №103.

3. კანდიდატებმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ პასპორტი) ასლი;

გ) ცნობა ბხსუ-ს შესაბამის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის/სტუდენტის სტატუსის შესახებ.

4. ბხსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს დაევალოთ ამომრჩეველთა სიების წარდგენა საარჩევნო კომისიაში 2023 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით. („სსიპ-

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ მე-19 მუხლის შესაბამისად).

5. ბხსუ-ს საარჩევნო კომისიას დაევალოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულებით“ გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

6. ბრძანება განთავსდეს ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30).

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **თ. კეჟერაძე**